საქართველოში დემენციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა 2027–2037

(კონცეფცია, ორგანიზაციული მოდელი და 10-წლიანი სამოქმედო გეგმა)

ავტორები: პროექტის ‘კიდევ ერთი ნაბიჯი ღირსეული სიბერისკენ’ საინიციატივო ჯგუფი (იხილე www.sibere.ge)

I. შესავალი

1.1. დემენცია — XXI საუკუნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა

დემენცია XXI საუკუნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი გამოწვევაა. მოსახლეობის დაბერების ფონზე მისი გავრცელება ყოველწლიურად იზრდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჯანმრთელობის სისტემაზე, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პროცესებზე. დემენცია დღეს უკვე აღიარებულია, როგორც დაავადება, რომელიც ერთდროულად ეხება პაციენტს, მის ოჯახს, ჯანდაცვის სისტემას, სოციალურ მომსახურებასა და სახელმწიფოს. დემენციას უკავია მეშვიდე ადგილი სიკვდილიანობის წამყვან მიზეზებს შორის და იგი ინვალიდობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ასაკოვან პოპულაციაში (WHO, Key Facts 2026).

მსოფლიოში დემენციით ათობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო მომდევნო ათწლეულებში მათი რაოდენობის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. დემენცია წარმოადგენს ინვალიდობისა და დამოკიდებულების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ხანდაზმულ ასაკში და დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვის, ხანგრძლივი მოვლისა და არაფორმალური ზრუნვის მნიშვნელოვან ხარჯებთან. ამ გამოწვევის საპასუხოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ დემენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალურ პრიორიტეტად გამოაცხადა და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა ეროვნული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავებისკენ.

საქართველოც იმ დემოგრაფიული ცვლილებების წინაშე დგას, რომლებიც დემენციის შემთხვევების ზრდას გარდაუვალს ხდის. მოსახლეობის დაბერება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და ქრონიკული არაგადამდები დაავადებების გავრცელება უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაზრდის დემენციით მცხოვრები ადამიანების რაოდენობას. ამასთანავე, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს დემენციის პრევენციის, ადრეული გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, გრძელვადიანი ზრუნვისა და ოჯახის მხარდაჭერის ერთიანი, კოორდინირებული სისტემა.

დემენციის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მხოლოდ სამედიცინო მომსახურების განვითარებით. იგი მოითხოვს ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, განათლების, მეცნიერების,

ადგილობრივი თვითმმართველობის, პაციენტთა და პროფესიული ორგანიზაციების კოორდინირებულ თანამშრომლობას. მხოლოდ ასეთი ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს დემენციით მცხოვრები ადამიანებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და სახელმწიფოს რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის კონცეპტუალურ საფუძველს დემენციის სფეროში მომდევნო ათი წლის განმავლობაში. მისი მიზანია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს დემენციის პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკის, ინტეგრირებული სამედიცინო და სოციალური დახმარების, პროფესიული განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ხარისხის მართვის ერთიანი ეროვნული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე საერთაშორისო მტკიცებულებებსა და საქართველოს საჭიროებებზე.

დემენციის ეროვნული პროგრამის მიზანია საქართველოში შეიქმნას ადამიანზე ორიენტირებული, სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ქვეყნის რესურსებთან ადაპტირებული ეროვნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დემენციის პრევენციას, დროულ დიაგნოსტიკას, უწყვეტ ზრუნვას, ოჯახის მხარდაჭერას, პროფესიული ცოდნის განვითარებასა და სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობას.

1.2. დემენციის ტვირთი საქართველოში

საქართველო, ისევე როგორც ევროპის მრავალი ქვეყანა, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესში იმყოფება. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება დემენციის განვითარების რისკიც, რის შედეგადაც მომდევნო ათწლეულებში დემენციით მცხოვრები ადამიანების რაოდენობის მნიშვნელოვანი მატებაა მოსალოდნელი.

დემენცია მხოლოდ სამედიცინო პრობლემა არ არის. იგი მნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის დამოუკიდებელ ცხოვრებას, ზრდის ხანგრძლივი ზრუნვის საჭიროებას და დიდ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ტვირთს აკისრებს ოჯახებსა და სახელმწიფოს. საქართველოში დემენციით დაავადებულთა მოვლის ძირითადი პასუხისმგებლობა კვლავ ოჯახის წევრებს ეკისრებათ, ხოლო არაფორმალური მომვლელები ხშირად მოკლებულნი არიან როგორც პროფესიულ მხარდაჭერას, ისე საჭირო სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს დემენციის შემთხვევების სრულყოფილი ეროვნული აღრიცხვის სისტემა, რაც ართულებს დაავადების რეალური გავრცელების, მომსახურების საჭიროებებისა და რესურსების დაგეგმვის ზუსტ შეფასებას. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ეპიდემიოლოგიური მოდელებისა და საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული შეფასებები მიუთითებს, რომ დემენციით მცხოვრები ადამიანების რაოდენობა უკვე ათეულ ათასებს (~45-60.000) აღწევს და მოსახლეობის დაბერების პარალელურად მისი ზრდა გაგრძელდება (Gigineishvili D et al., 2025).

დემენციის ტვირთი ვლინდება არა მხოლოდ პირდაპირი სამედიცინო ხარჯებით, არამედ სოციალური მომსახურების, გრძელვადიანი მოვლის, არაფორმალური ზრუნვისა და შრომითი პროდუქტიულობის დანაკარგით. ამდენად, დემენცია წარმოადგენს როგორც

ჯანდაცვის, ისე სოციალური დაცვის, ეკონომიკური განვითარების და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროების ერთობლივ გამოწვევას (იხ. დანართი N1)

საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ეროვნული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დემენციის პრევენციას, ადრეულ გამოვლენას, დროულ დიაგნოსტიკას, კოორდინირებულ სამედიცინო და სოციალურ დახმარებას, ოჯახის წევრთა მხარდაჭერასა და დაავადების ტვირთის ეტაპობრივ შემცირებას.

1.3. ეროვნული პროგრამის შექმნის აუცილებლობა

დემენცია წარმოადგენს კომპლექსურ სინდრომს, რომლის ეფექტიანი პრევენცია, ადრეული გამოვლენა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და გრძელვადიანი მართვა ვერ განხორციელდება ცალკეული სამედიცინო დაწესებულებების ან სპეციალისტების ძალისხმევით. დემენციის მზარდი ტვირთი მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუტების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებულ მონაწილეობას.

საქართველოში დემენციის მართვის ცალკეული კომპონენტები უკვე არსებობს, თუმცა ისინი ფრაგმენტულია და ერთმანეთთან არასაკმარისად არის კოორდინირებული. არ არის ჩამოყალიბებული დემენციის მომსახურების ერთიანი ეროვნული ქსელი, არ არსებობს შემთხვევათა ეროვნული რეესტრი, შეზღუდულია სპეციალიზებული სერვისების ხელმისაწვდომობა, ხოლო პროფესიული განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები სისტემურ ხასიათს არ ატარებს. შედეგად, პაციენტებისა და მათი ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს დროულ დიაგნოსტიკასა და მათ საჭიროებებზე მორგებულ სამედიცინო, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

დემენციის ეროვნული პროგრამის შემუშავება მიზნად ისახავს არსებული რესურსების უფრო ეფექტიან ორგანიზებას და ეტაპობრივ განვითარებას. პროგრამა ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციებს, თუმცა მისი ორგანიზაციული მოდელი მორგებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, ადმინისტრაციული მოწყობისა და ადამიანური რესურსების შესაძლებლობებზე. იგი ითვალისწინებს დემენციის პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკის, ინტეგრირებული ზრუნვის, პროფესიული განათლების, სამეცნიერო კვლევისა და მონაცემთა მართვის ერთიან სისტემაში გაერთიანებას.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს დემენციის მქონე ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ოჯახის წევრებისა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერას, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების უკეთ კოორდინაციას, რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას და ქვეყანაში დემენციის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში დემენციის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიულ საფუძველს მომდევნო ათი წლის განმავლობაში და განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებსა და ორგანიზაციულ მოდელს, რომელთა ეტაპობრივი განხორციელებაც უზრუნველყოფს დემენციის სფეროში მდგრადი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.

წინამდებარე პროგრამა არ ისახავს მიზნად ახალი პარალელური სისტემის შექმნას; მისი მიზანია საქართველოში უკვე არსებული ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების რესურსების ერთიან, კოორდინირებულ ეროვნულ ქსელად ორგანიზება და მათი ეტაპობრივი გაძლიერება.

II. პროგრამის ხედვა და მიზნები

2.1. ხედვა

საქართველოში შეიქმნას ადამიანზე ორიენტირებული, ხელმისაწვდომი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მდგრადი ეროვნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დემენციით მცხოვრები ადამიანების ღირსებისა და ცხოვრების ხარისხის დაცვას.

2.2. მისია

დემენციის ეროვნული პროგრამის მისიაა საქართველოში ჩამოყალიბდეს კოორდინირებული ეროვნული ქსელი, რომელიც გააერთიანებს პირველადი ჯანდაცვის, სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაცვის, სამეცნიერო კვლევის, პროფესიული განათლებისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის რესურსებს. პროგრამა მიზნად ისახავს *დემენციის მქონე ადამიანებისა და მათი ოჯახებისთვის დროული, თანმიმდევრული და ხარისხიანი დახმარების უზრუნველყოფას დაავადების ყველა ეტაპზე,* საერთაშორისო მტკიცებულებებსა და ქვეყნის შესაძლებლობებზე დაფუძნებული ორგანიზაციული მოდელის მეშვეობით.

2.3. სტრატეგიული მიზნები

დემენციის ეროვნული პროგრამის სტრატეგიული მიზნებია:

1. დემენციის პრევენციისა და მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების მართვის ხელშეწყობა.
2. დემენციის ადრეული გამოვლენისა და დროული დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
3. ქვეყნის მასშტაბით დემენციის მომსახურების მრავალდონიანი ინტეგრალური ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც დააკავშირებს კვლევით და მეთოდოლოგიურ ცენტრს, სპეციალიზებულ კლინიკურ ცენტრებს დედაქალაქში და რეგიონებში (მეხსიერების კლინიკებს), პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემებს და საზოგადოებრივ ინიციატივებს.

4. დემენციით მცხოვრები ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის უწყვეტი, ხარისხიანი და ადამიანზე ორიენტირებული ზრუნვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
5. პროფესიული განათლების, უწყვეტი ტრენინგისა და მულტიდისციპლინური თანამშრომლობის განვითარება.
6. დემენციის სფეროში სამეცნიერო კვლევის, მონაცემთა მართვისა და ეროვნული რეესტრის განვითარება.
7. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, სტიგმის შემცირება და დემენციისადმი ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბება.
8. დემენციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, მონიტორინგისა და ხარისხის მართვის მდგრადი სისტემის შექმნა.

2.4. ძირითადი პრინციპები

დემენციის ეროვნული პროგრამა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა** — დემენციის მქონე თითოეული ადამიანი ინარჩუნებს ღირსებას, ავტონომიასა და თანაბარ უფლებებს.
- **ადამიანზე და ოჯახზე ორიენტირებული ზრუნვა** — ყველა გადაწყვეტილება მიიღება პაციენტის, მისი სურვილების, შესაძლებლობებისა და ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით.
- **ადრეული გამოვლენა და დროული ჩარევა** — პროგრამა ხელს უწყობს დემენციის ადრეულ დიაგნოსტიკასა და დროულ ინტერვენციას.
- **მომსახურების უწყვეტობა** — პაციენტს უნდა ჰქონდეს კოორდინირებული დახმარება დაავადების ყველა ეტაპზე.
- **ინტეგრირებული და მულტიდისციპლინური მიდგომა** — დემენციის მართვაში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემები და საზოგადოებრივი ინიციატივები მოქმედებენ შეთანხმებულად.
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები** — კლინიკური და ორგანიზაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო მტკიცებულებებსა და საერთაშორისო რეკომენდაციებს.
- **ხელმისაწვდომობა და თანასწორობა** — მომსახურება თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქვეყნის ყველა რეგიონში, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა თუ სოციალური მდგომარეობისა.
- **მდგრადობა, შესაძლებლობებისა და ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება** — პროგრამის განვითარება ეფუძნება რეგულარულ მონიტორინგს, შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესს.

III. საქართველოში დემენციის მომსახურების ეროვნული მოდელი

3.1. ეროვნული ქსელის კონცეფცია

დემენციის ეროვნული პროგრამა ეფუძნება მრავალდონიანი, ინტეგრირებული მომსახურების ქსელის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დემენციის პრევენციის, ადრეული გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ხანგრძლივი ზრუნვის, ოჯახის მხარდაჭერისა და სამეცნიერო საქმიანობის კოორდინირებულ განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.

ეროვნული მოდელი ითვალისწინებს კლინიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ორგანიზაციული რესურსების გაერთიანებას ერთიან ქსელში. მისი მიზანია დემენციის მქონე პირთათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, სპეციალიზებული ცოდნისა და გამოცდილების თანაბარი ხელმისაწვდომობა, პროფესიული მხარდაჭერის გაძლიერება და არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ეროვნული ქსელი შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული დონისაგან:

- სპეციალიზებული ეროვნული კლინიკური ცენტრები (მეხსიერების ცენტრები);
- კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი;
- რეგიონული დემენციის ცენტრები;
- პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ქსელი.

ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც რთული კლინიკური შემთხვევების მართვას, ასევე ყოველდღიური სამედიცინო, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების კოორდინაციას ადგილობრივ დონეზე.

3.2. სპეციალიზებული ეროვნული კლინიკური ცენტრები

დემენციის ეროვნული ქსელის კლინიკურ ბირთვს წარმოადგენს ორი სახის კლინიკური ცენტრი — 1) მრავალპროფილური კლინიკის ნევროლოგიური ან ფსიქიატრიული დეპარტამენტების (განყოფილებების) ბაზაზე აღმოცენებული ერთეული; 2) სპეციალიზებული მეხსიერების კლინიკა. აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფენ დემენციის რთული და ატიპიური შემთხვევების მაღალკვალიფიციურ შეფასებას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობის დაგეგმვას, აგრეთვე მეთოდოლოგიურ და კლინიკურ მხარდაჭერას რეგიონული დემენციის ცენტრებისათვის.

ცენტრებში მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც, საჭიროების შესაბამისად, მონაწილეობენ ნევროლოგები, ფსიქიატრები, ნეიროფსიქოლოგები, გერიატრები, რადიოლოგები, პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სხვა პროფესიონალები.

სპეციალიზებული ეროვნული კლინიკური ცენტრების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- რთული და ატიპიური შემთხვევების დიაგნოსტიკა;
- მულტიდისციპლინური (მრავალპროფილური) კლინიკური შეფასება;
- ინდივიდზე ორიენტირებული მკურნალობისა და ზრუნვის გეგმის შემუშავება;
- რეგიონული ცენტრების კლინიკური კონსულტირება;
- რთული შემთხვევების დისტანციური მხარდაჭერა;
- კლინიკური რეკომენდაციების დანერგვაში მონაწილეობა;

- პროფესიული ტრენინგისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობა.

ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრები (მეხსიერების ცენტრები) არ განიხილება, როგორც დემენციის ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის დაწესებულებები. მათი ძირითადი დანიშნულებაა მაღალსპეციალიზებული კლინიკური ექსპერტიზის უზრუნველყოფა და დემენციის ეროვნული ქსელის კლინიკური ხელმძღვანელობა-მონიტორინგი.

3.3. კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი

დემენციის ეროვნული პროგრამის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბებული კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი.

ცენტრი არ ახორციელებს კლინიკურ მომსახურებას. მისი მთავარი დანიშნულებაა დემენციის სფეროში ეროვნული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინაცია, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და ქვეყნის მასშტაბით მოქმედი დემენციის ქსელის მხარდაჭერა.

ცენტრის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- დემენციის სფეროში ეროვნული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საქმიანობის კოორდინაცია;
- პროფესიული განათლების, ტრენინგისა და უწყვეტი სწავლების პროგრამების ორგანიზება;
- დემენციის ეროვნული რეესტრის შექმნისა და ფუნქციონირების კოორდინაცია;
- ეროვნული კლინიკური რეკომენდაციების, ალგორითმებისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავებაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო კვლევების, ეპიდემიოლოგიური დაკვირვებებისა და საერთაშორისო პროექტების კოორდინაცია;
- რეგიონული დემენციის ცენტრების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;
- პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო მონაცემების ანალიზი და ანგარიშების მომზადება.

კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის მეცნიერულ მდგრადობას, ახალი ცოდნის ინტეგრირებას ეროვნულ პრაქტიკაში და დემენციის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებას.

3.4. რეგიონული დემენციის ცენტრები

დემენციის ეროვნული ქსელის საფუძველს წარმოადგენს რეგიონული დემენციის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალიზებული მომსახურების ხელმისაწვდომობას ქვეყნის ყველა რეგიონში და კოორდინაციას უწევენ ადგილობრივ სამედიცინო და სოციალურ ქსელს.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს თითოეულ რეგიონში ეტაპობრივად შეიქმნება ერთი რეგიონული დემენციის ცენტრი. ცენტრი ფუნქციონირებს მრავალპროფილიანი

სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე და მოიცავს დემენციის ამბულატორიულ კაბინეტს, 1–2 საწოლს მოკლევადიანი დიაგნოსტიკური ან სამეთვალყურეო ჰოსპიტალიზაციისათვის და მობილურ მულტიდისციპლინურ საკონსულტაციო გუნდს.

რეგიონული ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- დემენციის ადრეული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის ხელშეწყობა;
- ამბულატორიული სპეციალიზებული კონსულტაციების უზრუნველყოფა;
- რთული შემთხვევების პირველადი შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრებისათვის მიმართვა;
- მოკლევადიანი დიაგნოსტიკური და სამეთვალყურეო ჰოსპიტალიზაცია;
- მობილური საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე;
- პირველადი ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის კოორდინაცია დემენციის სფეროში;
- პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მხარდაჭერა.

რეგიონული დემენციის ცენტრები წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს ეროვნულ კლინიკურ სპეციალიზებული ცენტრებსა და პირველადი ჯანდაცვის სისტემას შორის და უზრუნველყოფენ დემენციის მომსახურების უწყვეტობას რეგიონულ დონეზე.

3.5. პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ქსელი

დემენციის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების აქტიური მონაწილეობის გარეშე. სწორედ ამ დონეზე ხდება დემენციის რისკ-ფაქტორების მართვა, დაავადების ადრეული ნიშნების ამოცნობა, პაციენტისა და ოჯახის ხანგრძლივი მხარდაჭერა და სხვადასხვა სერვისის კოორდინაცია.

პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ქსელი მოიცავს ოჯახის ექიმებს, ამბულატორიულ ნევროლოგებსა და ფსიქიატრებს, შინ მოვლისა და სოციალური მომსახურების პროგრამებს, დღის ცენტრებს, პალიატიური მზრუნველობის სერვისებსა და სხვა საზოგადოებრივ რესურსებს, რომლებიც ჩართული არის დემენციის მქონე პირების მხარდაჭერაში.

ქსელის ძირითადი ფუნქციებია:

- დემენციის რისკ-ფაქტორების პრევენცია და მოსახლეობის განათლება;
- დემენციის შესაძლო შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირება და საჭიროებისას რეგიონულ ცენტრში მიმართვა;
- ხანგრძლივი მეთვალყურეობა და მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველყოფა;
- არაფორმალური მომვლელებისა და ოჯახის წევრების მხარდაჭერა;
- სოციალური, ფსიქოლოგიური და პალიატიური მომსახურების კოორდინაცია;
- პაციენტის ფუნქციური შესაძლებლობების, დამოუკიდებლობისა და ცხოვრების ხარისხის შენარჩუნების ხელშეწყობა.

პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ქსელი წარმოადგენს დემენციის ეროვნული მოდელის ყველაზე ფართო და მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ დონეს. მისი ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფს სპეციალიზებული ცენტრების რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დემენციის მქონე ადამიანებისათვის უწყვეტ, ხელმისაწვდომ და ადამიანზე ორიენტირებულ ზრუნვას.

ამრიგად, დემენციის ეროვნული მომსახურების მოდელი ეფუძნება ფუნქციების მკაფიო განაწილებას სხვადასხვა დონეს შორის: ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრები უზრუნველყოფენ მაღალსპეციალიზებულ კლინიკურ ექსპერტიზას; კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი — სამეცნიერო, საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას; რეგიონული დემენციის ცენტრები — სპეციალიზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და რეგიონული ქსელების კოორდინაციას; ხოლო პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემა — მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ უწყვეტ ზრუნვას. ამ ოთხი დონის ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირება ქმნის დემენციის ეროვნული პროგრამის ორგანიზაციულ საფუძველს.

შენიშვნა:

დემენციის მქონე პირთა დღის **მოვლის ცენტრები** არის უსაფრთხო, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დღის დაწესებულებები, რომლებიც მეხსიერების დაქვეითების მქონე პირებს სოციალურ, თერაპიულ და პერსონალურ მოვლის მომსახურებას სთავაზობს. შეთავაზებული ძირითადი სერვისები მოიცავს სოციალურ აქტივობებს და კოგნიტურ რეაბილიტაციას: ურთიერთობა ჯგუფში, თამაშები, მუსიკა და ხელოვნება, რომლებიც შექმნილია იზოლაციის შესამცირებლად და მეხსიერების სტიმულირებისთვის; პირად მოვლას: დახმარება ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორიცაა კვება, მოვლა და საპირფარეშოს გამოყენება, ასევე მედიკამენტების შეხსენებას და კონტროლს; კვებას: დიეტური სადილი და საჭმელები, რომლებიც მორგებულია დიეტურ საჭიროებებზე; უსაფრთხო ზედამხედველობა: დაცული სივრცეები, რომლებიც ხელს უშლის და აარიდებს ხეტიალს. სერვისებში ჩართული

პერსონალი: ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები და გაწვრთნილი ექთნები (შესაძლოა სოციალური მუშაკებიც). ცენტრები შეამცირებენ მომვლელების ტვირთ, ასევე გაუწევენ მათ განათლებას და უპირველესად უზრუნველყოფენ სოციალურ და არამედიკამენტურ ზრუნვას ადამინებისთვის დემენციით.

IV. პროგრამის ძირითადი მიმართულებები

4.1. დემენციის პრევენცია და რისკ-ფაქტორების შემცირება

დემენციის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია მოდიფიცირებად რისკ-ფაქტორებთან, რომელთა დროული მართვა ხელს უწყობს დაავადების განვითარების რისკის შემცირებას ან მისი კლინიკური გამოვლენის გადავადებას. ამიტომ პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და პრევენციულ ღონისძიებებს.

პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- მოსახლეობის ინფორმირება დემენციის მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების შესახებ;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, არტერიული ჰიპერტენზიის, შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნისა და სხვა რისკ-ფაქტორების კონტროლის ხელშეწყობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- კოგნიტური და სოციალური აქტივობის ხელშეწყობა ხანდაზმულ ასაკში;
- დემენციის პრევენციის ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის საქმიანობაში.

4.2. ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა

დემენციის დროული ამოცნობა და დიაგნოსტიკა აუცილებელია ეფექტიანი მკურნალობის, ზრუნვის დაგეგმვისა და პაციენტისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისათვის. პროგრამა მიზნად ისახავს ადრეული გამოვლენის სისტემის განვითარებას პირველადი ჯანდაცვისა და სპეციალიზებული მომსახურების ყველა დონეზე.

ძირითადი ამოცანებია:

- პირველადი ჯანდაცვის დონეზე კოგნიტური დარღვევების ადრეული ამოცნობის ხელშეწყობა; დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების ბიომარკერების გამოსავლენი ტესტების დანერგვა (სისხლი, თავ-ზურგტვინის სითხე);
- დიაგნოსტიკური ალგორითმებისა და კლინიკური რეკომენდაციების დანერგვა;
- რეგიონულ და ეროვნულ ცენტრებში სპეციალიზებული დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მულტიდისციპლინური შეფასების განვითარება;
- საჭიროების შემთხვევაში პაციენტების დროული გადამისამართების (Referral) სისტემის დანერგვა.

4.3. მკურნალობა, ზრუნვა და რეაბილიტაცია

დემენციის მქონე ადამიანებს ესაჭიროებათ დაავადების სტადიაზე მორგებული, უწყვეტი და კოორდინირებული სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებული მომსახურების განვითარებას, რომელიც ეფუძნება მულტიდისციპლინურ თანამშრომლობასა და ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომას.

ძირითადი ამოცანებია:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობის უზრუნველყოფა;
- ინდივიდუალური ზრუნვის გეგმების შემუშავება;
- რეაბილიტაციისა და ფუნქციური შესაძლებლობების შენარჩუნების ხელშეწყობა;
- სოციალური და პალიატიური მომსახურების ინტეგრაცია;
- მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა დაავადების ყველა ეტაპზე.

4.4. ადამიანების დემენციითა, ოჯახის წევრებისა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერა

დემენციის მქონე ადამიანების ყოველდღიური ზრუნვის უმთავრესი ნაწილი ოჯახის წევრებსა და არაფორმალურ მომვლელებზე მოდის. მათი ცოდნის, უნარებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მხარდაჭერა წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს. იმავდროულად ადამიანი დემენციით თავად წარმოადგენს საზოგადოების მოწყვლად და სტიგმატიზირებულ ნაწილს. და მათი უფლებების დაცვა წარმოადგენს უპირველეს საკანონმდებლო ამოცანას. **დემენციის მქონე ადამიანების** უფლებების დამცველი საკანონმდებლო ბაზა უნდა ეფუძნებოდეს **ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებსა** და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას (UN CRPD). კანონმდებლობა მიზნად უნდა ისახავდეს პაციენტის ავტონომიის შენარჩუნებას, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას (იხილე დანართი).

ძირითადი ამოცანებია:

- საკანონმდებლო ბაზის შექმნა პირთათვის დემენციით;
- მომვლელთა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (კვლევით და მეთოდოლოგიური ცენტრი);
- ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სერვისების ხელშეწყობა (რეგიონალური ცენტრები);
- საინფორმაციო რესურსების შექმნა;
- დროებითი განმტვირთავი (respite) მომსახურების ეტაპობრივი განვითარება (დღის მოვლის ცენტრების შექმნა);
- თვითდახმარებისა და მხარდაჭერის ჯგუფების ხელშეწყობა.

4.5. პროფესიული განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერება

დემენციის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია სათანადოდ მომზადებული პროფესიონალებისა და ინფორმირებული საზოგადოების გარეშე. პროგრამა ითვალისწინებს

როგორც სამედიცინო და სოციალური პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ისე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და დემენციასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირებას. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ტრადიციულ დარგობრივ პროგრამებს ნევროლოგებისათვის, გერიატრიული მედიცინის სპეციალისტებისათვის და ფსიქიატრებისათვის (შემდგომში ნეიროფსიქიატრიის რეზიდენტურის ძირითადი ბაზით სპეციალიზებულ (მეხსიერების) კლინიკურ ცენტრში), ასევე ნეიროფსიქოლოგების, ოკუპაციური თერაპევტების, ლოგოპედებისა და საექთნო დარგის სპეციალისტების მომზადებას, რათა დავძლიოთ გამოწვევები, რაც დგას დემეციასთან თანამცხოვრები ადამიანების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის გზაზე.

ძირითადი ამოცანებია:

- პროფესიული სასწავლო პროგრამების განვითარება;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და ტრენინგების ორგანიზება;
- მულტიდისციპლინური სწავლების ხელშეწყობა (როგორც სამედიცინო, ასევე მომიჯნავე და სოციალურ დისციპლინებში);
- საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება;
- დემენციისადმი მეგობრული საზოგადოების (Dementia-Friendly Communities) განვითარების მხარდაჭერა.

4.6. კვლევა, მონაცემთა მართვა და ხარისხის კონტროლი

დემენციის სფეროში მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია სანდო მონაცემები, სისტემური კვლევა და მომსახურების ხარისხის უწყვეტი შეფასება. პროგრამა ითვალისწინებს ეროვნული მონაცემთა სისტემის, სამეცნიერო კვლევისა და ხარისხის მართვის მექანიზმების ეტაპობრივ განვითარებას.

ძირითადი ამოცანებია:

- დემენციის ეროვნული რეესტრის შექმნა და განვითარება;
- ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება;
- მომსახურების ხარისხის ინდიკატორების დანერგვა;
- პროგრამის რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება.

შენიშვნა:

მედიკამენტები, კონკრეტული ტესტები (MMSE, MoCA და სხვ.), ბიომარკერები (სისხლი, თავზურგტვინის სითხე, PET, MRI, CT) ან სხვა ტექნოლოგიები, ასევე, კონკრეტული კლინიკური ინსტრუმენტები და ალგორითმები, რომლებიც სწრაფად იცვლება, განისაზღვრება იმ ეროვნული კლინიკური რეკომენდაციებით, რომელთა შემუშავებასაც III თავში სპეციალიზებული (მეხსიერების) და კვლევით-მეთოდოლოგიურ ცენტრებს ეკისრებათ. ამ გზით პროგრამა შეინარჩუნებს აქტუალობას მთელი მისი მოქმედების პერიოდში.

V. პროგრამის განხორციელება

5.1. პასუხისმგებელი უწყებები

დემენციის ეროვნული პროგრამის განხორციელება ეფუძნება მრავალსექტორულ თანამშრომლობას. პროგრამის საერთო კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვაზე, განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგზე.

პროგრამის განხორციელებაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობენ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტის სამედიცინო კომისია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- რეგიონული და მუნიციპალური სამედიცინო დაწესებულებები;
- ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული (მეხსიერების) ცენტრები;
- კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი;
- რეგიონული დემენციის ცენტრები.

პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შესაძლებელია შეიქმნას დემენციის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს უწყებათაშორის თანამშრომლობას, პროგრამის სტრატეგიულ განვითარებასა და შესრულების პერიოდულ შეფასებას.

5.2. პარტნიორი ორგანიზაციები

პროგრამის წარმატებით განხორციელება მოითხოვს პროფესიული, აკადემიური და საზოგადოებრივი სექტორის აქტიურ მონაწილეობას.

პარტნიორ ორგანიზაციებად განიხილებიან:

- უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები;
- პროფესიული ასოციაციები;
- პაციენტთა და მომვლელთა ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- დონორი და განვითარების პარტნიორი ინსტიტუციები;
- კერძო სამედიცინო სექტორი.

პარტნიორი ორგანიზაციები მონაწილეობენ პროფესიულ განათლებაში, სამეცნიერო კვლევებში, კლინიკური რეკომენდაციების შემუშავებაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და პროგრამის შეფასების პროცესში.

5.3. დაფინანსების ძირითადი პრინციპები

დემენციის ეროვნული პროგრამის განხორციელება ეფუძნება სახელმწიფო, მუნიციპალური და დამატებითი ფინანსური რესურსების ეტაპობრივ მობილიზებას.
პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- სავალდებულო სახელმწიფო პროგრამები;
- მუნიციპალიტეტების პროგრამები;
- საერთაშორისო საგრანტო და ტექნიკური დახმარების პროექტები;
- კვლევითი გრანტები;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროები.

პროგრამის განხორციელება ემყარება არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სერვისების ეტაპობრივ განვითარებასა და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფის პრინციპებს.

5.4. მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის განხორციელების პროგრესის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე. მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს როგორც შესრულებული ღონისძიებების, ისე მიღწეული შედეგების რეგულარულ შეფასებას.

მონიტორინგი მოიცავს:

- წლიური შესრულების ანგარიშების მომზადებას;
- ძირითადი შედეგობრივი ინდიკატორების შეფასებას;
- რეგიონული ცენტრების საქმიანობის ანალიზს;
- დემენციის ეროვნული რეესტრის მონაცემების გამოყენებას;
- პროგრამის შუალედურ და საბოლოო შეფასებას.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარების, რესურსების დაგეგმვისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

შენიშვნა:

დემენციის ეროვნული პროგრამის მართვისათვის მიზანშეწონილია ეროვნულ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შევიდნენ:

- ჯანმრთელობის სამინისტროს
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
- სოციალური მომსახურების სააგენტოს
- ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული (მეხსიერების) ცენტრების
- კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრის
- დემენციის რეგიონული ცენტრების
- პროფესიული ასოციაციების
- პაციენტებისა და მომვლელების წარმომადგენლები.

ეს საბჭო შეიძლება შეიკრიბოს, მაგალითად, წელიწადში ორჯერ, განიხილოს მონიტორინგის შედეგები, დაამტკიცოს რეკომენდაციები და განსაზღვრავდეს პროგრამის განვითარების პრიორიტეტები. ვფიქრობთ, ასეთი მმართველი მექანიზმი პროგრამას უფრო სიცოცხლისუნარიანს გახდის.

VI. 2027–2037 წლების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიმართულება	ძირითადი მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	ვადა	შესრულების ინდიკატორი
დემენციის პრევენცია	დემენციის პრევენციის ეროვნული სისტემის განვითარება და მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების მართვის ინტეგრირება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამებში	ჯანმრთელობის სამინისტრო	განათლების სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები	2027–2037	ეროვნული პრევენციული ღონისძიებები ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში
ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა	კოგნიტური დარღვევების ადრეული გამოვლენისა და დემენციის დიაგნოსტიკის ერთიანი ეროვნული სისტემის დანერგვა	ჯანმრთელობის სამინისტრო	პირველადი ჯანდაცვის ქსელი, ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრები	2027–2030	დანერგილია დემენციის ადრეული გამოვლენისა და გადამისამართების ეროვნული სისტემა
ეროვნული კლინიკური ქსელი	ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	ჯანმრთელობის სამინისტრო	ნევროლოგიური და ფსიქიატრიული კლინიკები	2027–2029	ფუნქციონირებს ორი ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრი
რეგიონული დემენციის ქსელი	ქვეყნის მასშტაბით რეგიონული დემენციის ცენტრების ეტაპობრივი ჩამოყალიბება	ჯანმრთელობის სამინისტრო	რეგიონული სამედიცინო დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები	2028–2034	ყველა რეგიონში ფუნქციონირებს დემენციის ცენტრი და მობილური საკონსულტაციო გუნდი

სტრატეგიული მიმართულება	ძირითადი მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	ვადა	შესრულების ინდიკატორი
მკურნალობა, ზრუნვა და რეაბილიტაცია	ინტეგრირებული სამედიცინო, სოციალური და პალიატიური მომსახურების ეროვნული მოდელის დანერგვა	ჯანმრთელობის სამინისტრო	რეგიონული ცენტრები, სოციალური მომსახურების სისტემა	2028–2037	უზრუნველყოფილია დემენციის ინტეგრირებული მომსახურების უწყვეტი სისტემა
ოჯახისა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერა	ოჯახის წევრთა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერის ეროვნული სისტემის განვითარება	ჯანმრთელობის სამინისტრო	სოციალური მომსახურება, პაციენტთა ორგანიზაციები	2027–2037	ფუნქციონირებს მომვლელთა მხარდაჭერისა და კონსულტირების სისტემა
პროფესიული განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერება	დემენციის სფეროში პროფესიული განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ეროვნული სისტემის განვითარება	კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი	უნივერსიტეტები, პროფესიული ასოციაციები	2027–2037	მოქმედებს პროფესიული განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ეროვნული პროგრამა
კვლევა და ინოვაცია	დემენციის სფეროში სამეცნიერო კვლევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება	კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი	უნივერსიტეტები, საერთაშორისო პარტნიორები	2027–2037	ხორციელდება ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროგრამები
ეროვნული რეესტრი და მონაცემთა მართვა	დემენციის ეროვნული რეესტრისა და მონაცემთა მართვის სისტემის შექმნა	კვლევითი და მეთოდოლოგიური ცენტრი	ჯანმრთელობის სამინისტრო, ეროვნული კლინიკური სპეციალიზებული ცენტრები	2027–2030	ფუნქციონირებს დემენციის ეროვნული რეესტრი

სტრატეგიული მიმართულება	ძირითადი მიზანი	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	ვადა	შესრულების ინდიკატორი
მონიტორინგი და ხარისხის მართვა	პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის მართვის ეროვნული სისტემის დანერგვა	ჯანმრთელობის სამინისტრო	ეროვნული საკოორდინაციო საბჭო	2027–2037	ქვეყნდება პროგრამის შესრულების პერიოდული ანგარიშები და ხარისხის შეფასების შედეგები

VII. მოსალოდნელი შედეგები

დემენციის ეროვნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში დემენციის პრევენციის, ადრეული გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ზრუნვისა და სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი, კოორდინირებული ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

- ჩამოყალიბდება დემენციის მომსახურების მრავალდონიანი ეროვნული ქსელი, რომელიც გააერთიანებს ეროვნულ კლინიკურ სპეციალიზებულ (მეხსიერების) ცენტრებს, კვლევით და მეთოდოლოგიურ ცენტრს, რეგიონულ დემენციის ცენტრებსა და პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემას.
- გაუმჯობესდება დემენციის ადრეული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობა ქვეყნის ყველა რეგიონში.
- დაინერგება დემენციის ეროვნული რეესტრი და შეიქმნება დაავადების გავრცელების, მომსახურების საჭიროებებისა და შედეგების შეფასების ერთიანი საინფორმაციო სისტემა.
- გაიზრდება პროფესიული ცოდნა და კომპეტენცია დემენციის სფეროში მომუშავე სამედიცინო, სოციალური და სხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთა შორის.
- გაძლიერდება დემენციის სფეროში სამეცნიერო კვლევა, საერთაშორისო თანამშრომლობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.
- გაუმჯობესდება დემენციის მქონე ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა და ხარისხი.
- გაძლიერდება არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას და ოჯახის წევრთა დატვირთვის შემცირებას.
- გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობა დემენციის შესახებ, შემცირდება სტიგმა და ხელი შეეწყობა დემენციისადმი მეგობრული გარემოს განვითარებას.

- ჩამოყალიბდება დემენციის სფეროში მდგრადი სახელმწიფო პოლიტიკის, ხარისხის მართვისა და პროგრამის რეგულარული მონიტორინგის სისტემა.

პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგი იქნება საქართველოში ისეთი დემენციის ეროვნული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ხარისხიან, ხელმისაწვდომ, უწყვეტ და ადამიანზე ორიენტირებულ მომსახურებას, გააძლიერებს სამეცნიერო და პროფესიულ პოტენციალს და შექმნის მტკიცე საფუძველს დემენციის ტვირთის შემცირებისათვის მომდევნო ათწლეულებში.

დემენცია მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზი არ არის. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს, პროფესიული საზოგადოების, პაციენტებისა და მათი ოჯახების ერთობლივ პასუხისმგებლობას. წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს საქართველოს ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მომდევნო ათწლეულის განმავლობაში დემენციის პრევენციის, დიაგნოსტიკის, ზრუნვისა და მხარდაჭერის ერთიანი ეროვნული სისტემა. მისი წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.